# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

ათი 5 ენკენ. № 36 — 1915.



ილია ჭავჭავაძე (1837—1907)

მისი ვერაგულად მოკვლისა და დიდებულად დაკრძალვის 8 წ. შესრ. [illegible]

## № 36

## შინაარსი


1 **მეთაური**—მადლს მატლად ნუ ვაქცევთ; 2) საბანკო არჩევნები;
2 **გ. ტაბიძე**—Meri, ლექსი;
3 **ივ. ესტ. მჭ-ლი**—წითელი ბილეთი;
4 **ილ. ფერაძე**—გოგოთურ და აფშინა (კრიტიკული წერილი)
5 **გ. ქუჩიშვილი**—ჩვენი ბუნება (ვაჟას ნატვრა)
6 **მ. კიაზოშვილი**—ჩუმი მოღვაწე ხელოვანნი
7 **პ. ირეთელი**—ბედნიერი დღე „
8 **ზ. ედილი**—ავი თვალი, ამბავი 11
9 **გენო**—კახელი გლეხის ჩივილი
10 **ვანო მესხიევი**—ვაჟას დაფასება
11 **ბოგოლა გაბიდოური**—წერილი ფშავეთიდან, „ჩვენ ვაჟას“
12 **გუგული**—ვინ ვის ეომება
13 **ქართული სახიობა**
14 **წვრილი ამბები**



## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 7—13 ენკენისთვ**

**ორშაბათი** 7 ენკენისთვე—ოპერეტკა,

**სამშაბათი** 8 ენკენისთვე—**სიმფონიური კონცერტი.** ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.

**ოთხშაბათი** 9 ენკენისთვე **სინემატოგრაფი.** სეანსის შემდეგ **დიდი სიმებიანი ორკესტრი ბალში.**

**ხუთშაბათი** 9 ენკენისთვე **ქართული წარმოდგენა.** თეატრში შესვლა უფასოა.

**პარასკევი** 10 ენკენისთვე **სინემატოგრაფი.** სეანსის შემდეგ **დიდი კონცერტი ბალში**

**შაბათი** 11 ენკენისთვე **სიმფონიური კონცერტი.**

**კვირა** 12 ენკენისთვე საბავშვო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით და სამხედრო ორკესტრით.

სინემატოგრაფის დასაწყისი საღ. 8 ს., წარმოდგ. და სიმფ. კონცერტებისა საღ. 9., საბავშვო საღამო 5-დან 9 საათამდე.
**საუმრები კლუბში შესასვლელათ იხდიან** ჩვეულებრივ ფასს.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

მიხეილის პრ. № 131

საუცხოვო საზაფხულო როტონდით, სცენით და მშვენიერი, ელექტრონით განათებული, ბაღით.

**კვირას, 6 ენკენ.** კონცერტი — ივ. სარაჯიშვილის მონაწილეობით

**ორშაბათს: 7 ენკენ.** საზანდარი

**სამშაბათს 8 ენკენ.** რუსული წარმოდგენა

**ოთხშაბათს 9 ენკენ.** ქართული წარმოდგენა,

**ხუთშაბათს 10 ენკენ.** საბავშო საღამო: სიმებიანი ორკესტრი

**პარასკევს 11 ენკენ.** საზანდარი; სინემატოგრაფი

**შაბათს 12 ენკენ.** კონცერტი

**კვირას 13 ენკენ.** მალოროსიული დასის წარმოდგენა

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.**

**შესავალი ფასი:** მამაკაცნი იხდიან, —30 კ. ქალები და სტუდენტები - 20 კ.

**წარმოდგენა იწყება 9 საათზე, სინემატოგრაფი—$8^1/_2$ ს., საბავშვო საღამო—5—9 ს.**

# თეატრი და ცხოვრება

ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი

№ 36

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41




## 5 ენკენისთვე

**მადლს მატლად ნუ ვაქცევთ...** ორმოცი დღე სრულდება, რაც ვაჟამ თვალი დახუჭა და რაც უფრო მეტი დრო გაივლის, რაც უფრო კარგად შევისწავლით და შევიგნებთ ამ მთის ლაღი შვილის ლაღ შემოქმედებას, მით უფრო გულის კვნესა გაგვიძლიერდება, რომ ჩვენის დაუდევრობით ადრე დავკარგეთ იგი — სიამაყე ჩვენის მწერლობისა,—რომელსაც შეეძლო 20-30 წელიწადი კიდევ ნაყოფიერად ემოღვაწნა...

ჩვენს მწერლობაში არა ერთ გზის აღნიშნულა ის გულციობა-დაუდევრობა, რომლის ნაადრევი მ ხვერპლნიც შეიქმნენ ალ. ყაზბეგი, ეგ. ნინოშვილი, არ. ჯორჯაძე...

და ბოლოს ვაჟაც...

უნდა ვიღონოთ რამე, რომ ასეთ თვითმკვლელობის მოწმენი აღარ შევიქმნეთ..

მართალია, ბევრი საზოგადო საქმე გვაქვს დაწყებული და ჯერ არც ერთი დასრულებული, მაგრამ ჩვენი ხალხის მოჭირნახულეთა შესახებ ზრუნვა იმდენად საყურადღებოა, რომ მისი მიფუჩეჩება არ გვეპატიება...

თუ დღემდე არა გაგვიკეთებია რა, დღეიდან მაინც უნდა საქმედ ვაქციოთ ის აზრი, რომელიც ჩვენს პრესაში გამოითქვა, სახელდობრ: ავაგოთ საზოგადო მოღვაწეთა თავშესაფარი აგარაკში, სადაც სულს მოითქვამენ ხანგრძლივი შრომით ღონე-მიხდილნი და დასნეულებულნი მწერალნი, მსახიობნი თუ სხვა დარგის საზოგადო მოღვაწენი...

ამ თავშესაფარის აგება იკისრა ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებამ, რომელმაც მუყაითი შრომით გასულს წელს თავი გამოიჩინა.

იმედია ყველა ხელს მოუმართავს, რომ საზოგადოებამ ეს აზრი განახორციელოს.

თუ კი ჩვენი კულტურული წინსვლა რაიმე ღირებულებას წარმოადგენს და მის მუშაკთ ჭეშმარიტად პატივს ვცემთ, მარტო სიკვდილის შემდეგ კი ნუ ვამკობთ ვარდ-ყვავილებით,—სიცოცხლითვე ვაღირსოთ თბილი ლუკმა, გრილი ოთახი, ერთი ვარდი...

პატიოსანი საქვეყნო მუშაკის მადლს მატლად ნუ ვაქცევთ და სიცოცხლითვე მადლი უძღვნათ ჩვენდა საკეთილ-დღეოდ.

ვაჟას ხსოვნის პატივსაცემლად მაინც უნდა მოვიქცეთ ასე...

——

**საბანკო არჩევნები** ხვალ, 6 ენკენისთვეს, სასოფლო სამეურნეო ბანკის არჩევნებია...

ბანკი ჩვენი ნივთიერი აღორძინება-განვითარების ერთი რგოლთაგანია, თუ მას სათავეში რიგიანი, შეგნებული, მცოდნე და ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრების მცნობი კაცი უდგას..,

ჩვენი სოფელი ახლა გამოდის ალებ-მიცემობისა და მრეწველობის გზაზე,—ბევრი დარგი ჩვენის მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობისა ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობაშია.. ბევრმა ვაჭარ-მრეწველმა თუ მეურნემ ჯერ რიგიანად არც-კი იცის, სად როგორ მოინაცვლოს ხელი თავისი საქმის წინ წასაწევად, მაშინ, როდესაც ჩვენი მეზობელნი ურთიერთის დახმარებით და ბანკიდან ხელის მონაცვლებით თავის საქმეს აყვავებენ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც ჩვენს სასოფლო სამეურნეო ბანკში ისეთი კაცებია საჭირო, რომლებიც მთელი თავისი არსებით მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მეურნე-მრეწველ-ვაჭრის საქმეთა დაწინაურებაში, ე. ი ყოველის კანონიერისა და ადვილად მოსახერხებელი გზით ხელს შეუწყობენ ერთის მხრით მრავალ მსხვილ მეთანხეთა გარეშემოკრებას, მეორე მხრით—ჩვენი ახალად ფეხადგმულ ვაჭარ-მრეწველთა და სოფლის მეურნეთა წინსვლას...

არა კმარა მხოლოდ ბუღალტერიის ცოდნა, ერთს რომელ'ამე საგანში სპეციალობა, არამედ საჭიროა, როგორც ვსთქვით, ჩვენი ქვეყნის ავკარგის ცნობა და ხალხის ნდობაც...

ბანკის თავმჯდომარედ, როგორც გავიგეთ, ერთხმად ასახელებენ ბანკის დიდი ხნის მოჭირნახულეს, ყოვლად უმწიკვლო კაცს ვ. რ. ყიფიანს, ხოლო დირექტორად—ცნობილს საზოგადო მოღვაწეს პ. ა. გოთუას, რომელიც აგერ ათი წელიწადია დაუღალავად ილვწის სამწერლო-საზოგადო ასპარეზზე, და მისივე თაოსნობით შესდგა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საზოგადოება, 1 ამ მილიონამდე მ.ნ თიან თანხით.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბანკის მონაწილეთა საზოგადო კრება ამ ღირსეულ კაცთ მიანდობს თავის საქმეთა წარმოებას...

## MERI

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კრთომა,
მაგ უცხო სახის ელვა და ფერი
მწუხარე იყო ვით შემოდგომა.

ათეთრებული და მოცახცახე
თრთოდა სანთლების მთელი კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ-გაფითრებული.

ელავდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ირგვლივ სურნელი,
მწუხარე იყო, მაგრამ მაგ თვალთა
სხვა იყო სევდა განუკურნელი.

შენ იქ თანხმობის წარმოსთქვი ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა
და იმის შემდეგ დღესაც არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

თითქო ვიღაცა მწარედ გოდებდა
ვიღაცა თავის ყრმობას ჰკარგავდა,
დაგიტირებდა, შევიცოდებდა...
დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...
მერი! იმ ღამეს გული მწყდებოდა,
ვიდექი სვეტთან და ყველაფერი
მწარე ოცნებად მეჩვენებოდა.

ნუ თუ დაგკარგე? ნუ თუ არას დროს
ბედი ჩემთან არ გაგათანაბრებს?
სხვისმა ალერსმა უნდა დაგათროს?
სხვამ უნდა მიგცეს იდუმალ ზღაპრებს?

ნუ თუ სხვამ უნდა დასწვას ეგ მკერდი
თოვლივით თეთრი და მშვენიერი?
დაბრუნდი, მერი! მერი, შეჩერდი!
მე აქ ვარ, აქა, ძვირფასო მერი!

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
იმ ღამეს შენი სიცოცხლის ბედი
გათავდა... ჩაჰქრა შუქთა ჩანჩქერი...
ტაძრიდან მწარე გესლით გაველი.

სად მატარებდა ნაბიჯი ჩქარი
არ მახსოვს, თვალთა ხედვა მიმძიმდა...
ბნელოდა... მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად სწვიმდა და სწვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივეცი ფიქრს შეუწყვეტელს,
დავკარგე ძალა და სახლთან იქვე
ლონე-მიხდილი მივაწექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდენ ფოთლებს ბნელ-ხმიანს
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე—ვინ იცის... ან და ვინ ასწერს
იმ ბედს, რომელიც მე არ მეღირსა,
რისთვისაც გული ეხლაც ისევ სძგერს.

ან უეცარი გახსენება
რად ჩაჰქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიქერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რად ვატირებდი,
ან რად ვკვნესოდი ჩემს „მე და ღამეს“...

ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
კვნესოდენ, როგორც კვნესოდა გული...
და მე ავტირდი ვით მეფე ლირი,
ლირი ყველასგან მიტოვებული.

გ. ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასოფლო-სამეურნეო ბანკის არჩევნები



ვ. რ, ყიფიანი
ბანკის თავმჯდომარედ დასახელებული.



კ ა. გოთუა
ბანკის დირექტორად ასარჩევი.

# წითელი ბილეთი

(ნამდვილი ამბავი)

— წითელი ბილეთი... წითელ ბილეთიანები მიჰყავთ..

— გაისმა სოფ. ვეჯში.

ლოგინში მწოლიარე ანდრია ოდნავად ფეთქავდა... მძაფრი სიცხე ჰქონდა, მაგრამ მაინც იკითხ.:

— რაო, წითელი ბილეთიანები მიჰყავთო?!... წითელი ბილეთიო ., წითელი... ჩემი ილუა ხომ წაიყვანეს და აგერ ექვსი თვეა იმისი არა ვიცირა: მკვდარია თუ ცოცხალი. ახლა შაქრიკოც მიჰყავთ... წითელი ბილეთიანი... წითელი... წითელი...

და მოჰყვა უსწორ-მასწოროთ ბოდვას:

— მე... მე .. დედაკაცო, დედაკაცო! მე?!,.. შენ?...

— შენც და მე'ც შავი ჭირი,! შენიშნა მაკამ, რომელიც იქვე მიხრუკულიყო გულხელ დაკრეფილი: რაღა დაგვრჩენია, შე უბედურო?!... ილუასი არა ვიცით რა, ე შაქრიკოც მიჰყავთ.

— წითელი ბილეთი... წითელი ..

კვლავ წაილუღლუღა ანდრიამ...

* *
*

„არალალო, კოხტა მარო,
კოხტა ბიჭის მიმდევარო,
არალალო, არალ..."

ამ სიმღერით შემოაღო კარი შაქრიკომ.

— შვილო, შენ გმღერება და მეცა მკვთხე .. ტირილით მიმართა მაკამ.

— ეჰ, დედი, სადაც ჩემი ძმა ილუა— იქაც მე... ნუ სწუხარ, დედავ, თუ ცოცხალია ჩემი ძმა, მეც ცოცხალი დავბრუნდები და თუ მოუკლავთ,— სისხლსა, სისხლს, დედი, სისხლს ავიღებ! ..

„გვერდზე მოგითოხნე კალო,
არალალო, კოხტა მარო! .."

— წითელი ბილეთიანი... წითელი... ლუღლუღებდა ! იცხით გამობრუებული ანდრია.

— შვილო, მოისვენე მაინც, ნაქეიფარი ხარ, დილაზედ ადრე უნდა ასდგე.. შვილო, გენაცვალოს დედა, მოიგონე რამე სატკივარი, იქნებ გაგანთავისუფლონ...

-- რაო.,. სატკივარიო?!... რას ამბობ, დედი? სატკივარი მოვიგონო და მერე ჩემ ტოლ ბიჭებმა მასხარად ამიგდონ?!... არა, დედი, მე მაგისთანა ქალაჩუნობას არ გავწევ. ჩემი ძმა, ჩემი ილუა იქ არის, იქ იბრძვის, მეც იქ უნდა წავიდე. რა ნება მაქვს, ვსთქვა: „ავათა ვარო," როდესაც არა მტკივარა!...

ანდრიას სიცხემ უმატა, შაქრიკო სიმღერა-დიღინით წამოეგდო ლოგინზე და წამსვე ხვრინვა ამოუშო.—მაკამ მთელი ღამე ტირილით გაათენა კალოზე..

*
* *

რიჟრაჟია...

გზირის ხმა მოისმა:

ბიჭო შაქრიკო, წამოდი ჩქარა, დღეს ნაჩალნიკთან უნდა გამოცხადდეთ.

— ეხლავ, ეხლავ!... შესძახა შაქრიკომ თვალების ფშვნეტით.

— „გამოცხადდეთ" თქვენა და ღვთის წყრომა თქვე კომლობა გაციებულებო. შეჰყვირა მაკამ: ორი შვილი მყავს, ორივეს მართმევთ მე და ოთხმოცის წლის მოხუცებულს რაღა პასუხს გვაძლევთ?!.

— ბრძანებაა, ნათლიდედ, ბრძანებაა!... აბა რა ჩემი საქმეა.!

— ნუ სტირი, დედი, სადაც ჩემი ძმები, მეც იქ...

მშვიდობით, დედი!...

— მშვიდობით მამი! —გადაეხვია შაქრიკო და ჩაეკონა ტუჩებში, მაგრამ რა იგრძნო: წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანდელი ოდნავ მოლულლულე სიცხიანი ტუჩები ყინულად გადაქცეულიყო

— მამი, მამილო!.. დაუწყო ნჯღრევა, მაგრამ ამაოდ...

— შაქრიკო! წამოდი ჩქარა, კაცო, შენ ხომ არ მოგელოდება იმოდენა ხალხი! კვლავ მოისმა გზირის ხმა.

— მოიცა, კაცო. სად წამოვიდე, ერთი მუჭა მიწა მაინც ვაღირსო მამაჩემს!...

— არ შეიძლება, ბრძანებაა.. იყო გზირის მკაცრი პასუხი.

თავ-ჩაღუნილი შაქრიკო ქვითინით გამობრუნდა სახლიდამ და გაეშურა ბრძანების ასასრულებლად, ქვითინში მოსთქვამდა ხამუშ-ხამუშ:

„ერთი მუჭა მიწა მაინც მივაყარო მამა ჩემს!“

...შაქრიკოს ეთხოვებოდა ყველა სულდგმული, თითქო სამუდამოდ აცილებდენ... ბუჩქმა და ეზოს ძირში, გზასთან, მდგარმა ლეღვის ხემაც სალამი გააყოლა რტოების რხევით... იმავე ლეღვზე შუა გულის ჩაიფრთხიალა შაშვმა.

**ივ. ესტ. მჭ-ლი**

# გოგოთურ და აფშინა

**პოემა ვაჟა ფშაველასი**

(კრიტიკული ესკიზი)

**შინაარსი**. პოემაში გამოხატულია ორი ვაჟ-კაცი: ხევსური აფშინა და ფშავი გოგოთური. ორივე გათქმულია სივაჟკაცით, მაგრამ, ისე კი რომ აფშინას სივაჟკაცე უარყოფითია, ხოლო გოგოთურისა კი საქებ-სადიდებელი... ერთხელ ცოლის მიერ წაქეზებული გოგოთური, დასვენებული ომიდგან, შეიარაღებული მიდის „სარჩოს საძებნელად“ და შეხვდება შეიარაღებულს, ავაზაკობით თავის მრჩენს აფშინას. აფშინა იარაღს წაართმევს გოგოთურს, რომელიც პირველხანად დათმობის და მოთმენის გზას დაადგა.. მაგრამ შემდეგში გოგოთური არა თუ იბრუნებს უკველივე წანართმევს აფშინასაგან, არამედ თვით წაართმევს აფშინას ყველაფერს, შეკრავს და სცემს... სირცხვილნაჭამი აფშინა ევედრება პატივებას გოგოთურს, რომელიც ანთავისუფლებს მას. ამის შემდეგ დაძმობილდებიან გოგოთური და აფშინა .. მაგრამ აფშინა, რომელმაც შეირცხვინა თვისი სივაჟ-კაცე და იგრძნო თვისი წარსულის შეცდომანი, ხევის ბერად დგება, განშორდება სოფელს და მის ამაოებას, გახდება სჯულის ერთგული და მუდამ სტირის თვის მკვდარ ვაჟ-კაცობას და ცოცხლად თავის დამარხვას. ჩვენ დავახასიათებთ უმთავრესად გოგოთურს.

**I) გოგოთურის დახასიათება.**

ა) მისი სივაჟკაცე. მთა ისეთი ადგილია, რომელიც თვის შვილთ უდვიძებს და უძლიერებს ქვეყნის სიყვარულს, განსაკუთრებით სიყვარულს თავისუფლებისადმი... მისი ნიადაგი წყალი და ჯაერი ხელს უწყობს მკვიდრთა განვითარებას, მათს ფიზიკურს გაძლიერებას. მთის შვილის კუთები და გული ვითარდება მთის აღმართ-დაღმართით, მის სადა მჟავბადით, მდიდარი ჯაერით; მაღალ მთების ქარიშხალი, ელვა და ჭექა მას ჩასძახოდა გამბედაობას და ბროლ-წყლიანი ჩანჩქერები და მთის ცივი წკრიალა და ანკარა ნაკადნი მუდამ უმღერს თავისუფლების ტკბილ ჰანგსა..

**ვაჟა-ფშაველას მთიელი** თავისუფლების მოტრფიალეა, მონობის მძულე... თავისუფლების გმირია და მისთვის ღვრის სისხლსა... ხშირად ავიწყდება ცოლი და შვილი: მთელ მის არსებას მოიცავს საზოგადოებრივი გრძნობა—მისი მე განიმსჭვალების სხვების, მოყვასთა ბედნიერების ძიებით.. მთიელი, უბრალო ქართველი, სწავლა-განათლებას მოკლებული, თვის ბუნებაში ატარებს მარადისობის გრძნობას მოყვასთა სიყვარულისას, იმ გრძნობას, რომელიც ჩვეულებრივად კუთვნილებაა დიდბუნებოვან გვამთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ვ. შალიკაშვილი**
ბაქოს დრამ. წრის რეჟისორად მიწვეული.



**კ. შათირიშვილი**
სახალხო თეატრის რეჟისორად მიწვეული.

მთის ღვიძლიშვილი იმედი საზიკაული, ვაჟას ჯოყმის გმირი გლოვობს თავის ცხენს და ავად არის ამის გამო... მისი სულისკვეთება ნათლად ესმის მთიელთა სულის მესაიდუმლეს, ვაჟა-ფშაველას, რომელიც ეხება საზიკაულის გლოვის მიზეზს და ამბობს:

„ჯავრი ჰკლავს საზიკაულსა,
შედუღებული შხამითა,
ცრემლი არ მოსდის თვალზედა“.

ცხენთანაა შეერთებული მრავალი მოგონება მთიელისა, მრავალი ამბავი მისი სივაჟკაცისა, მისი თავგანწირულებისა... ნაღვლობს მთიელი თავის ცხენს და ფიქრობს:

,,რითღა წავალის ლაშქარსა?
ლეკებს რით გაჰყვეს კვალზედა?
ვინღა შააშრობს ტყვეებსა
(ლეკთაგან მოტაცებულთ)
ცრემლს, ჩამომდინარს თვალზედა?
დაჩაგრულების საშველად
ხელს ვინ დაიდებს ხმალზედა?!

ჩაგრულთა დახმარება და შველა მთიელისთვის არაა ცარიელი სიტყვა, როგორც კაბინეტებში მსხდომ ლიბერალებისთვისაა, არამედ რის ცოცხალი საქმე... მთიელი გმირი ნაკლებ ჰხარჯავს სიტყვას: ის განხორციელებული საქმიანობაა. ქართველ მთიელს მოუხდა ცხოვრება კავკასიონის მთათა შუა კლდეთა და თოვლიან ყინულიან ხეობათა არეზე .. მის გულს სწყდებოდა მახვილის წვერიჲით ბარის ქართველთა ხშირი კვნესა შემოსეულ მტერთაგან და იძულებული შეიქმნებოდა მათთვის იარაღით დახმარება აღმოეჩინა; მასვე უხდებოდა ბრძოლა სხვა და სხვა მტერთან, რომელნიც მის მეზობლად სცხოვრობდნენ... ამ გარემოებამ გაასალკლდევა მთიელი და გაუღვივა ვაჟკაცობის, რაინდობის შეუდრეკელი სული. ასეთია ფშაველი გოგოთური, რომელიც ფშავეთში ზის და სწუხს იმის გამო, რომ ომი აღარაა...

„გოგოთურ ამაზედა სწუხს,
ხმა აღარ ისმის ომისა,
მიწურვილია, თავდება
ჟამი ზაფხულის ორისა ..“

მზადაა წავიდეს ბარად, რომ ბარის ქართველებს უშველოს გასაჭირში, მაგრამ ელის ქართველთა მეთაურის მეფის სიტყვას, მიმართვას გოგოთურისა და ფშავთადმი:

„შემოგვესია მტერიო,
ფშავით მოვიდეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ერიო,
წინ გამიუძღვეს გოგოთურ,
ჯერაც არ არის ბერიო“.

და მართლაც ქართველთა მეფე დიდად აფასებდა გოგოთურის თავგანწირვას. მის სივაჟკაცეს, მის სიგმირეს. იცნობდა გვირგვინოსანი გოგოთურს და ასე ახასიათებდა საყვარელს რაინდს.

„გოგოთურ
ათას კაცთანა ვადრე,
ათასგანა მყავს ნაცადი;
ათასგან ომში ვატარე.
გოგოთურს რკინის გული აქვს,
ჯანი ხომ გადამეტია,
რამდენჯერ მარტო შებერტყის
მტერი, ქვიშაზე მეტია.
ომში სიკვდილს ჰგავს გოგოთურ,
შეუბრალები უკვდავი,
მტერსაც ზარსა სცემს უზომოს,
როგორაც სულთამხუთავი.·.
ისე აგორებს მტრის რაზმებს,
როგორც ნავს ტალღთა დენანი,
ალბად სწყალობენ ვაჟკაცსა
ის ანგელოზნი ზენანი“...

**ილ. ფერაძე**

(გაგრძელება იქნება)

# ბედნიერი დღე

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 35)

## VI

**თებრო, სალომე, ეგნატე, აპოლონ, კოტე, გიორგი და სანდრო.**

(აპოლონ და სალომე ხელი-ხელ გაყრილი შემოდიან. სალომე წელში იგრიხება და თავი მაღლა უჭირავს. მიესალმებიან ყველას)

**ეგნ.** (მიეგებება) მობრძანდით, მობრძანდით! გვაცდევინეთ, მაგრამ მუსიკით და სიმღერით შეგხვდით მაინც.

**სალ.** (ეშხიანად) გვაპატიეთ, რომ დავიგვიანეთ, აპოლონს უცბად საქმე გაუჩნდა.

**აპოლ.** (დიმილით) დიახ, ბატონებო, ძლიერ დანაშაული ვართ, რომ გაცდევინეთ, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი ლმობიერი გულის არ გაგვიწყრებით.

**ეგნ.** (მიიწვევს ყველას) დაბრძანდით, (აპოლონს) დაბრძანდით, ბატონო აპოლონ, დაბრძანდით სალომე. (ყველანი დასხდებიან)

**აპოლ.** მგონია სიმღერა შეგიშალეთ.

**სალ.** (ტუჩებ-აპრუწვით მიტრიალ-მოტრიალდება სკამზე) უი ქა! მართლა ძალიან ხელი შეგიშალეთ, რა მშვენივრად მღეროდით. თქვენი სონა უკრავდა ისე მშვენივრათ?

**თებ.** მშვენიერი სად არის, უკრავს ისე, „ტაკ სებე".

**სალ.** სადა ბრძანდება სონაი?

**თებ.** თავის ოთახში არის, წამობრძანდით გაჩვენოთ. (სალომე და თებრო შედიან ოთახში)

**ეგნ.** ხომ არა გცხელათ, ბატონო აპოლონ?

**აპოლ.** რას ბრძანებთ, აქ პირდაპირ სამოთხეა. ქუჩაში ისე ცხელა, რომ იწვის ყველაფერი. ეს ოხერი ღამეც რომ არა გრილა გაგონილა? ასეთი ცხელი ზაფხული ჯერ არავის უნახავს.

**კოტე.** სოფლები სულ დაიღუპა. სულ გადახმა ყველაფერი, მოსავალი აღარ იქნება, შიმშილობა აუცილებელია.

**ეგნ.** (მწუხარებით) რა გვეშველება სოფელი თუ დაიმშა, არც ჩვენ დაგვეყრება ხეირი.

**აპოლ.** რასაკვირველია, სოფელი ჩვენი დედაა, თუ სოფელს არა ექნარა, ვინ უნდა გვასაზრდოვოს.

**სანდ.** გუშინ წერილი მივიღე ჩვენი სოფლიდან და იწერებიან, აქ უკვე შიმშილობა დაიწყოვო.

**ეგნ.** (მწუხარებით) უჰ! რა უბედურებაა.

**კოტე.** (დაღონებით) დიახ, უბედურება და მეტი არა?! იქ სოფელი კვნესის, სიბნელეში იხრჩობა, შიმშილით სული ჰხდება, ჩვენ კი აქ ვსხედვართ. (წამოდგება აღელვებული და გაივლ გამოივლის) სოფელს შველა უნდა, ინტელიგენცია იქ არის საჭირო, ჩვენ კი ყველანი ქალაქისკენ მოვეშურებით.

**სანდ.** (სიცილით) მაშ სოფელში როგორ უნდა გავსძლოთ?

**აპოლ.** ზაფხულობით კიდევ შეიძლება ორი-სამი თვით და ზამთრობით კი შეუძლებელია.

**გიორ.** (სიცილით) თავი რომ მომაგდებინოთ, სოფელში ვერ ვიცხოვრებ. როგორ უნდა გავსძლო?

**კოტე.** განა ცოტა საქმეა სოფლად?

**სანდ.** თუ ბევრი საქმეა, შენ თვითონ აქ რას ზიხარ: ადექ და წადი, თუ კი ასე გეწვის გული.

**კოტე.** დიახაც რომ წავიდოდი, მაგრამ გაზეთს რა ვუყო?

**გიორ.** გაზეთს სხვა კი ვერ მოუვლიდა? (შემოდიან თებრო, სონა და სალომე. ყველანი გაჩუმდებიან)

## VII

იგინივე და **თებრო, სალომე და სონა.**

**აპოლ.** (წამოდგება და წავა სონასკენ. ხელს ჩამოართმევს) როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ?

**სონა.** (მორცხვათ) მადლობელი ვართ. დაბრძანდით!

**აპოლ.** გმადლობთ. თქვენ დაბრძანდით. (ორნივე გაჩუმდებიან)

**სალ.** (ჩუმად აპოლონს) აბა კარგათ შეხედე, შვილო, რა მშვენიერებაა! (სონას) ჩემი აპოლონი დღეს ძალიან დაიღალა. მუდამ ბევრი საქმე აქვს. (გვერდზე მოუდგება აპოლონს და ხან მას უყურებს, ხან სონას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეკნ.** დაბრძანდით, ბატონო აპოლონ, დაბრძანდით სალომე. (სონა და აპოლონ ერთად დასხდებიან. სალომე აპოლონს უკან დაჯდება, მის ახლოს თებრო; ეგნატე დანარჩენ სტუმრებთან ზის და ებაასება)

**აპოლ.** (სონას ნერწყვის ყლაპვით) მეტის მეტი დიდი სიცხეები დაიჭირა.

**სონა.** (მორცხვად) დიახ, ძალიან „ცხარე“ დღეებია. (ორნივე გაჩუმდებიან)

**სალ.** (ხელს წაჰკრავს აპოლონს და უჩურჩულებს) რას გაჩუმებულხარ, შვილო, უთხარი რამე. (თებროს ხმა მაღლა) უჰ! თქვენი ჭირიმე რა რიგათ ცხელია! (ინიავებს)

**თებრო.** ამოდენა ქალი გავზდილვარ და ჯერ ასეთი სიცხე არ მახსოვს.

**აპოლ.** (სონას) ქართულ თეატრში დადიხართ? როგორ მოგწონთ ქართული წარმოდგენები?

**სონა.** (ღიმილით) არ დავდივარ.

**აპოლ.** (გაოცებული) რატომ?

**სონა.** მე ოპერებზე დავდივარ „კაზიონი“ თეატრში.

**აპოლ.** საკვირველია, რად შეგძულებიათ ასე ქართული თეატრი?

**სონა.** (სიცილით) მე იქ ვერაფერი „ოშჩუშჩენია“ ვერ ვნახე, ვერაფერი გავიგე.

**აპოლ.** (გაოცებული) ქართული არ იცით?

**სონა.** როგორ არ ვიცი, მაგრამ ღრმა ქართული არ ვიცი.

**აპოლ.** (დაღონებით) სამწუხარო ამბავია. ალბათ თქვენ ხუმრობთ. იცოდეთ, რომ ღრმა ქართულის მცოდნე ჩვენში იშვიათია და რა გასაკვირია თქვენ რომ არ იცოდეთ?

**ეგნ.** (წამოდგება და იწვევს სტუმრებს) მობრძანდით, ბატონებო, ვგონებ. ვახშმობის დრო არის. აბა, თებრო! გაგვიძეხ, ბერო მინდია!

**თებრო**, ეხლავე, ეხლავე! (ეძახის მელანოს) მელანო! მელანო (შემოდის მელანო) აბა, ჩქარა მოგვართვი რაცა გვაქვს. (მელანო გადის და შემოაქვს, საჭმელები. ყველანი სუფრას მოუსხდებიან. ერთ მხარეს სხედან აპოლონ, სალომე, თებრო და სონა, მეორე მხრით ეგნატე, კოტე, სანდრო და გიორგი. სმა-ჭამას დაიწყებენ)

**ეგნ.** (ეპატიჟება სტუმრებს) მიირთვით, მიირთვით, ბატონებო. ნუ მოვიწყენთ. (აიღებს ჭიქას) აბა, ყმაწვილებო! ხომ იცით სუფრის უფროსი საჭიროა. ავარჩიოთ თამადა. იმედია, ბატონი სანდრო უარს არ იტყვის. (ყველანი სთხოვენ)

**სანდ.** არ შემიძლია, ბატონებო, გამანთავისუფლეთ.

**ეგნ.** გთხოვთ! (ყველანი სთხოვენ)

**სანდ.** რა გაეწყობა. (წამოდგება აიღებს ჭიქას) მაშ, ბატონებო, აავსეთ ჭიქები, ვადღეგრძელოთ ამ ოჯახის ბურჯი, დიასახლისი ქალბატონი თებრო. ოჯახის დედა ბოძი დედაკაცია, მას შეუძლია როგორც უნდა ისე დააყენოს ოჯახი. მასზეა დამოკიდებული შვილების აღზრდა, მასზეა დამოკიდებული ქმრის ბედნიერება და უფრო ფართეთ რომ ვსთქვათ, მთელი ერის კეთილდღეობა. სწორეთ ასეთი ბრძანდება ქალბატონი თებრო: ის ნამდვილი ქართველი დედაა, მის გარშემო ყველაფერს ქართველური ელფერი აძევს, ის უზრდის ერს ქართველ დედას, მისი ერთათ-ერთი ქალი, ქალბატონი სონა ნამდვილი ქართველი ქალია. მაშ გაუმარჯოს ქალბატონ თებროს. (დალევს)

**კოტე.** (წარმოდგება, აიღებს ჭიქას) ვსვამ თქვენ სადღეგრძელოს, ქალბატონო თებრო. ყველა ქართველის გული სიამოვნებით აღტოკდება, როცა ხ დავს, რომ ჯერ კიდევ არ მოვსპობილვართ, ჯერ კიდევ გვყავან ქართველი დედები, რომლებიც დაგვიზრდიან ისეთ ქართველ ქალებს, როგორიც სონაა. ეს ჩვენ დუხჭირ დროში იშვიათი მოვლენაა. გისურვებთ დღეგრძელობას. (დალევს ღვინოს და დაჯდება)

**აპოლ.** (წამოდგება, აიღებს ჭიქას, ჩაახველებს. ცოტა ხანს ფიქრობს) ქალბატონო თებრო! რაც აქ ითქვა, იმაზე მეტს ვერას ვიტყვი

**სალ** (წაჰკრავს ხელს და უჩურჩულებს) სთქვი, შვილო, სთქვი! ბევრი სთქვი.

**პ. ირეთელი**

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენი ბუნება

**ვაჟას ნატვრა**

(ქებათა ქება)

I

მთებო! რა ლამაზები ხართ,
რა რიგ სიტურფით ჰშვენითა;
ია და ვარდი მოსულა
თქვენი ჩიტების სტვენითა!

ირმები დალაღებულან
სველი ბალახის წვენითა,
დადიან, დასეირნობენ
ყურ-დაცქვეტილი სმენითა!

საჯიხვო სერზე ჯიხვები
თავს იწონებენ რქებითა;
მათ საყურებლად ღრუბლები
მოდიან ცურვა-ფრენითა!

II

ნეტავ სულ თქვენთან მამყოფა,
მახარა თქვენის ლხენითა,
თქვენთან მაღირსა სიკვდილი,
თვალებს ვხუჭავდე თქვენითა,
ვისუდრებოდე ნისლებით,
გულზე ცვარ-ნამის დენითა,
მმარხავდეთ, მასაფლავებდეთ,
ფოთლებს მაყრიდეთ წყენითა
და სულ ნანინას დამძახდეთ
ლაღი ნიავის ენითა!

III.

მთებო! რა საყვარლები ხართ:
ტყე-ღელე-ქალა-სერითა,
აყვავებული ქედებით,
მდინარეების ჩქერითა,
ცის ელვა-ქექა-ქუხილით
და ქარიშხალის მღერითა!—
ისე არ მოვკვდე, არ გავძღე
თქვენი სიტურფის ცქერითა!



# ჩუმი მოღვაწე—ხელოვანნი

თუ ვინმე ჩვენთაგანს რამის გაკეთება მოუსურვა, ჯერ ლაპარაკით მოგაბეზრებთ, ბოლოს-კი აღმოჩნდება, რომ სიტყვა იგი სიტყვადვე დარჩა და საქმით არარაობაა... ასე იქცევა ყველა ის, ვისაც თავისი პიროვნების გამოჩენის ინტერესი ამოქმედებს .. მაგრამ, სამხიარულოდ, ცივილიზაცია და აზროვნების განვითარება უანგარო ქველმოქმედების კალთებს თანდათანა შლის და გრძნობიერ გულს სამოღვაწეო ასპარეზზე იწვევს...

...და მისი სურვილი არ გაქარწყლდება...

ვისაც წილად ჰხვდება ხბედნიერება და სოფ. ავლევსა და კნოლევს (გორის მაზრა) დაათვალიერებს, უეჭველად იხილავს ორ ჩუმ მოღვაწეს: თავადთ კონსტანტინე ამირაჯიბსა და დუშიკო ფალავანდიშვილს (ქართულ მწერლობაში -ის ფსევდონიმით ცნობილს), რომელთა ნამოქმედარი ამ ლებულებას ნათელ ჰყოფს.



**თავ. კონსტანტინე მიხეილის-ძე ამირაჯიბი**
სასოფლო სამეურნეო-სახელოსნო სკოლის დამფუძნებელი და სულის ჩამდგმელი.

პირველს, თავისი მხნეობით. სოფ. ავლევი გადუქცევია საბედნიერო წყაროდ, რომლის დასაწაფებლად თავს იყრიან ქართლის სხვა და სხვა სოფლების მცხოვრებთა შვილები: ქალნი და ვაჟნი. ეს უკანასკნელნი ადგილობრივ არსებულ სკოლა-სახელოსნოში სწავლობენ: საგნებს ქართულ-რუსულად, მუსიკას, ზეინკლობას, დურგლობას, მჭედლობას, მეურნეობას, ელექტრონით ამუშავებენ წისქვილსა და მანქანებს, რომელთა ძალით სოფელი და მცხოვრებთა სადგო-

მები საუცხოვოდაა გაჩირაღდნებული, —ხელ-საქმეს და მრავალ სხვას... *)

მაგრამ დაბეჩავებულ გლეხკაცთა საგანმანათლებლო იდეებით მომქმედს თავისი მოღვაწეობისათვის წერტილი აქ არ დაუსვამს და სწორედ აქედან იწყება მისი ქართული დრამატიული ხელოვნებისადმი სამსახური, რომელიც ამ ახლო წარსულში კოჰწია სცენით შეხამებულ პატარა სათეატრო დარბაზის აგებაში გამოიხატა. და ეს ყოვლად საყურადღებო ნაბიჯი მით უფრო ძვირფასია, რომ სრულიად უფასოდ ჰმართავს შესაფერ ქართულ წარმოდგენებს განსაკუთრებით გლეხებისათვის... ჩემის აზრით ასეთი შრომა, ჩუმი შრომა, ყველა ქველ-მოქმედებაზე უპირესია, და ვაშა მას, ვინც ამ გვარი გზით წამებულ მხარეს გვირგვინოსნობით გააბრწყინებს. .



თავ. დიმიტრი (დუშიკო) გიორგის-ძე ფალავანდიშვილი

ქართულ ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი და თავისუფალი ხელოვანი.

მეორე პიროვნების, თ-დ ფალავანდიშვილის ასპარეზი სულ სხვა გვარია... მისი მარჯვენა ჰქმნის ხატებებს, რომლებსაც საქართველოსა და უცხო მხარის მუზეუმებშიაც კი საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს.

აბა წარმოიდგინეთ ვეება სიგრძე-სიგანის ფიცრები, რომელთაგანაც ხელოვანის მარჯვენას საქართველოს მწერალ-ქურუმთა სახეები გამოუჭრ-გამოუთლია და შეზავებული ხაზები ცეცხლით ამოწვით შეუქმნია.., ასეთი ნახატობა არც მხატვრობაა, არც მოქანდაკეობა, ხოლო ფიცარზე გავლებული ყოველი განაფხაჭნი, სახის ყოველი დამახასიათებელი ნაკვთი, გარშემო შემოჯდომილი შესაფერი ქარგები სტოვებენ ისეთ შეზავებულ შთაბეჭდილებას, რომ ერთმანეთში არევა იმისა, თუ ვინ—ვინ არის, ყოვლად შეუძლებელია...

შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, დიმ. ყიფიანი, მერანზე მჯდომი ნიკ. ბარათაშვილი, საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ლადო მესხიშვილი, გ. ერისთავი და სხვანი—აი ის დიდებული ჩვენი ქვეყნის მნათობნი, რომლებიც თ-დ ფალავანდიშვილის დიად ნიჭიერებას ჰქადადებენ. განსაკუთრებით კი შოთა, ილია, ვაჟა (ახალი სურათი) და საბა ორბელიანი ნამდვილ მაღალ ხელოვნურ ნაწარმოებს წარმოადგენენ.

და ეს მშვენიერებანი უფრო გაბრწყინვალებულად გეჩვენებათ, რადგან მოთავსებულნი არიან ამ ხელოვანისავე მიერ სულ პატარ-პატარა ხისაგან, სრულიად ულურსმოდ აწყობილ-აშენებულ საკანგებო სამ ვებაა ოთახში, რომელთა მოხდენილი გეგმა და შესაფერისი წესით გამოფენილი ნამოქმედარნი, მათ სანახავად შესულ ადამიანს, ყოველ გვარ დარდს ძლევის კვერთხით გაუპობენ და აღუნიშვნელ ექსტაზში შეაცურებენ...

...ნეტამც აღსრულდეს და რომელიმე საზოგადოება მათ გამოფენას იკისრებდეს.

ეს იქმნება უკვდავი ძეგლი საქართველოს მნათობთა, ეს იქმნება სიმბოლო დიადის ხელოვნებისა და, ამასთანავე, შეფასება (და არა ცარიელი სიტყვა) იმ ადამიანისა, რომელსაც სამშობლოსათვის სამსახური სხვა გზით უკისრია და რომელსაც ხელი და ნიჭი თვისი ერის განმასპეტაკებელ ემბაზში ამოუბანია ..

მიხ. კიაზოშვილი

# კახელი გლეხის ჩივილი

(სცენა)

ნურას უკაცრავად, თქვენი ჭირიმე, ცოტა ზარხოშათ გახლავარ, ემანდ ყანის მკაში ცოტა მოვიჭარბე... ხომ მოგეხსენებათ გლეხის საქმე: ყველაფერში გულუხვია— შრომაშიც, ბედოვლათობაშიც და სმაშიც.

*) ყოველივე ჩამოთვლილის სწავლა ადგილობრივ მცხოვრებთათვის უფასოა, სხვა მხრიდან მოსულები კი წლიურად სამ მანეთს იხდიან.

თქვენთან ჩვენი კაცი ფეხს ვერ გაი-შვერს—განა ტყუილია, რომ ჩვენ სულ სხვა ჯურის ხალხი ვართ... ჩვენ ვაჩენაში განა ღმერთი რეულა? სულაც არა... ჩვენ სხვა ყალიბზე ვართ ჩამოსხმული...

ჰო და რომ დაუფიქრდები, ეს ოხერი და ტიელი სასაცილო უკუდო ორფეხა ცხოველები ვართ ეს გლეხები—ვიდა გინდა ჩვენი ოფლით არ სცხოვრობდეს: მაინც ყველა ისევ ჩვენ გვიბრიყვებს, თავში გვიჩაჩუნებს... მართალია დამცინიან ღვინოს რომ დავჰლევ, აცა-ბაცა იცი ლაპარაკიო, მაგრამ აი თუ დალაგებით არ შემოგჩივლოთ ყველაფერი, აის მადლმა დამაკუტოს. (პირჯვარს იწერს).

ყველას თავი დავანებოთ,—ეს ჩვენივე ამორჩეული ტარშინა და იმის კუდი პისერი (აი მოსტყუდეს კიდერი) სულ ყეენები გაგვიხდნენ, თვალს არ დაგვახამხამებინებენ... ჰე, სწორეთ ეგენი არიან პრისტავიც და ღრუბერნატარიც:—სიმართლეს ეტყვი, კბილებს ჩაგამტვრევენ, დაუძახებენ ამ ტრაჟნიკებს: აი ეს ბუნტობსო და მორჩა!... ისე მოგითბობენ გვერდებს თოფის კონდახებით, როგორც პეპუას დოლი.. სუ ნემეცური ყუმბარასავით დაგაყრიან კონდახებსა და მუჰტებს.

პა პა პა პა! მე რომ მაგათ მუცლის მილორებას ვუყურებ ხოლმე, ღმერთმა ჩემს სახლში მაგათი ფეხი არ მაჩვენოს... იმ დღეს რომ ქვრივ სალომეს სადილი გადაახდევინეს, შვილი გაგინთავისუფლეთო!... მაგათმა მზემ მაგათ გაუნთავისუფლეს.. ნიატ, მე კარგათ ვიცოდი, რომ განთავისუფლებული გხლდათ (უკანასკნელ სიტყვებს ჩუმათ ამბობს, თან აქეთ იქით იცქირება) ცოტა დინჯათ მოვიქცე, თორემ იქნება მე სისხლი მომემატა?? ბევრი კი არ უნდათ, ხელათ გამომიშვებენ ცხვირ პირიდან. ჰო! მე რო იქ იმათ დაძლომას ვუყურე: ვაი, ვაი რამდენი შესძლებია კაცს, ბიჭებო! ის გზირი, გზირი! სანამ ერთი ძვალი დარჩა გამოსახრელი, იქაურობას არ მოეშვა. არა, ე ბეჩავ ხალხზე რომ ესე არიან გამარჯვებულები, ნამეტნავათ ი ჩვენი „პისერი!.,„

ეჰ, ბევრი რამა გვაქვს სათქმელი, მაგრამ რა ვქნათ? აი ცხონებული კაკია იყო ამოღებული ხმალი, იმითვინ ეჯავრებოდათ ამათთანა ხალხს...-ოოო ის რომ ერთხელ ღვდელს დაადგა: ახალი ლოქო რომ მოვიტანო ზურგიელის მაგივრათ, იმასაც თავს მოაჭრიო? ერთხელ მთავარი ციდენ მიცვალებულზედ ეკითხება: „შევიმოსო თუ არაო“‘ ვითომ შამოსილს მეტი ენდომება ფული. კაკიამ მოკლეთ მიაძახა: „ე კვდარი კი დამარხე და გინდა რაც გაცვია—ეგეც გაიხადეო!.. “ ეჰ, ცხონებული ისკი არ იყო შამძლე! აკი ღმერთი არა სწყალობს ვინც ღვინოს არა სომს, საყდარში არ დადისო. რა ვიცი, ის საყდარში ფეხს არ შესდგამდა, ღვინოს არა სვამდა, მაგრამ მაინც ღმერთი იმისკენ იყო.

მე შენ გითხრა ვერა ჰქონდა ცხოვრება და დოვლათი!?

არა, მაშ მე მწყალობს ღმერთი აი გუშინ მესამე კალო გავლეწე და თავი-ბოლო სახლში ხუთი ლიტრა შავიტანე.. ვინ გინდა, ლიტრი ნით ჩემ კალოზე არ გაჩნდა! ამ გეურქასი და მეფარჩე სარქისასი მიკვირს, როგორ გულთმისანივით გაიგეს, რომ წელს პური ექვს მანეთად გახდებოდა—როგორი პირობა ჩამომართვეს ამ ეშმაკის წიწილებმა: თუ კალოზე სამ მანეთად მოგვცემ ჩვენი ლიტრიანით, დაგახარჯინებთ ნისიათაო... ე ე ე! ნახე ძაღლის თავი სად მარხებულა!!!

ე ორიოდე ვაზი ეხოკა, აქედინაც ხომ ცარიელი დავრჩი. ეხლა მობრძანდნენ და გაიტანონ გულ-უხვად, ძალ ან სეირს კი ვუყურებ,—ცარიელი კაცი ქვაზე მაგარიაო—მობრძანდნენ ი ვიღაც გერმანია თუ ჯანდაბა, ძალიან დღეს კი დამაყენებენ იმათმა მზემ: სადაც მთელი ნახირი—იქ ბებრის ხბოცაო.

ამბობენ, მითომ ი გერმანიაა თუ ვიღაც მენემსეები, დაზოგვით უყვართ ცხოვრებაო.. აი დედა ვაცხონე იმათი! აი წელს მეც დაზოგვით მექნება ყველაფერი: პური არ მომივიდა, ღვინო სულ ზიარება არ მექნება, შინაური ფრინველები გასწყდა, მგონი სამ დღეში ერთხელ ვიშოვო საჭმელი პური, ეგეც მაგათი დაზოგვით ცხოვრება,—ე რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბძანცბაა „თქვენი სახლ-კარი და ქონება უნ-და დასწვათო“,-ოოო ძალიან არ შემაშინე-ბენ? დიდი სიამოვნებით ჩემო პრისტავო და ღრუბერნატარო, იჩივლონ იმათ, ვისაც დი-დი სახლ-კარი აქვთ დასაწველი და ბევრი ნივთი დასჭირდება, თორე ჩემ ჩალიან ქოხს ერთი პრიჩკა ეყოფა... კარგათ რომ აბურ-ბურდეს, ხომ საქიაკოკოლო გადახტომაზე არც კი მეყოფა—სხვა რა? რას წაიღებენ? ე მე ვიცი მართულ-გაბმული ზვრები არ გადა-მიკაფონ, არაბული ცხენების ჯოგები არ დამტაცონ.

ი ერთობის ხალხი რო თავებს იმტვრევ-და—პროლესტარი, პროლესტარიო, აი გერ-მანიას მოჰქონებია ი რაღაც პროლესტრო-ბაა: სადაც სოფელზე გამოივლის, სულ პრო-ლესტრები კი დაუხვდებიან წინ, მა რა იქნე-ბა ქონება გადამწვარი ხალხი. მეც თავს და-ვუკრავ და აი, ბატონო მენემსეებო, მეც პროლესტარი გახლავართ მეთქი ..

ჰაერს სწამლავენო? მაგაზე კი ვერ გვა-ჯობებენ: შამობრძანდნენ ჩვენ სოფელში, რამაზაანთ უბანზე და ვიწრო ორღობებისკენ ამოიარონ და თუ ისინი ამ აყროლებულს ჰაერს გაუძლებენ—ცხვირ მოვიჭრი... კიდეც ჩვენი ტარშანა იმისთვის შორს არ აზიდ-ენებს ამ დახოცილ ძაღლებს და ღორე'ს შეიძლება გერმანელებს აქ სული შეუგუბ-დეთო?—აჰა, თუ ტარშინამ ჩინიც"არ მიი-ღოს?? !

ახ, ნეტა მე იმათ საფრენ მაშინაში ჩამსვა და ერთი ღამე ადგილიდან გადმომახე-და,—ან კიდევ ერთი ისეთი მაშინა საკუთ-რივ ხელში ჩამაგდებინა—აი გიყვარდეს, შა ვიტყუილებდი ამ ჩვენ კისერ მოსატეხ პი-სერს და ტარშინას,—ერთი ხელადა ღვინოს ჩავიდგამდი და თვითონვე შამოვიდოდნენ, არა ხვეწნა დამჭირდებოდა.—აქავე ჩავსხავ--დი იმ ჩვენ წურბელა გასუნილ გეურქას, ბა-ღოს, სედრაკას, პეპიას ბიჭს. ავიყვანდი ზე-ცამდი, — იქიდან ერთი გოდორივით ამოვატრიალებდი და—ჰერი ბიჭო!—მივაძა-ხებდი: ამენდე თქვენი დაძვირდა, დაძვირდა მეთქი...

ეხ, ბატონებო, ცოტა თავი მოგაწყინეთ ყბედობით, ნურას უკაცრავად: ზოგი ეს უნ-და ვსთქვათ და ზოგი ის მაშ რით მოვითხა-ნოთ ეს გამწარებული გული. .

ღამე მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

„გენო“

# ავი თვალი

(გაგრძელება იხ. „თ. და ც“ № 35).

ერთხელ რასულას ბედმა გაუღიმა, ვილა-ცას შემწეობით და ხვეწნით ერთ ბეგთან ტყის ყარაულობა მისცეს. იმის მოვალეობა იყო, ერთს სოფელში მჯდარიყო გამუდმებით და ვინც ხეობიდამ რამე ხეტყის მასალას გამოატარებ-და, თუ ბაჟი არ ქონდა გადახდილი, უნდა დაეჭირნა. რასულა ცას დაეწია, სისწრაფით მიატოვა ის სოფელი, სადაც მას მოსვენებს არ აძლევდნენ და რომელშიაც იმდენს მძულვა-რებას გრძნობდა. რასულა თითქოს გამოცოც-ხლდა, განახლდა. ისეთი ჯიელი სული და ღონე მიეცა და ისეთი მხიარული მის ათას-ნაირად დანაოჭებულ შუბლს, რომ ადამიანს ეგონებოდა მეორედ დაბადებულაო. მოქუშული სახე გაუმხიარულდა და როცა მივიდა თავის ახალს საცხოვრებელს სოფელში, რომელიც საუცხოვოდ გადაჭიმულიყო შიგ ხეობის პი-რში, რასულას ხომ სული გაუნათლდა მის დანახვაზე.

— ოჰ, რა მშვენიერი და ლაღი ყოფი-ლა ეს სოფელი, რა საუცხოვო ჰაერია, აქ კაცს რა მთჰკლავს, მშვენიერი ბროლივით წმინდა წყალი და სუნელოვანი სალი ჰავა. აქ მკვიდრად უნდა გავიდგა ფეხი და სიკვდი-ლამდის აქაურობას არ მოვშორდები, ამბობ-და თავის გულში რასულა.

მართლა საუცხოვო მდებარეობა ჰქონდა სოფელს. მთის ორთავე კალთაზე გადაჭიმულს მთლად მწვანეში და ტყეში ჩაფლულს სო-ფელს შუაში ჩამოუჩხრიალებდა მთის გამონა-

წური მუდამ ქაფქაფა, თოვლის ფიფქივით ხუჭუჭა მდინარე, რომელიც საყვარლად მიიკლაკნებოდა ვიწრო ხეობაში. ირგვლივ მთის ფერდობებზე საყვარლად აღმართული კაკლისა და წაბლის უზარმაზარი ხეები, რომელთ შორის ამოფარებული იყვნენ წითელი კრამიტით გადახურული პატარა სახლები, კოხტა, მორცხვი პატარძალსავით გამოიცქირებოდნენ მთის ძირიდან. უნდა გენახათ სოფელი, გაზაფხულზე, როცა კაკლის მძლავრი სუნი და წაბლისა და ცაცხვის სუნელოვნება ყნოსვას გიტკბობდათ და სანატრელ სამოთხედ ჰქმნიდა იქაურობას.

რასულა უზომოდ ხარობდა, ლაღობდა მისი დიდის ხნით გაბოროტებულ-შეწუხებული სული და გული. მას ეხლა ყოველივე წარსული ავიწყდებოდა, განვლილ უბედურებას ადვილად აგდებდა და თითქოს ეხლა იწყებდა განახლებულს ნეტარებით სავსე ცხოვრებას. მცხოვრებლებთან ცდილობდა კარგი განწყობილება ჰქონოდა და სიამტკბილობით მოქცეოდა ყველას და სასიამოვნო კაცი ყოფილიყო. ყველას პატიოსნურად თავაზიანად ექცეოდა და არავის წყენინება არ უნდოდა. სოფლელებსაც პირველად მეტად ღვთისნიერი კაცი ეგონათ, მით უმეტეს რასული ყოველთვის უკლებლივ მეჩეთში დაიარებოდა, დღეში ხუთჯერ ლოცულობდა და სხვა.

მაგრამ ჩქარა დარწმუნდა რასულა, რომ ყველა ეს ამაო იყო. ის ბოროტი ვარსკვლავი, რომელზედაც რასულა დაბადებულიყო, მუდამ უკანა სდევდა და ვერსად დაემალებოდა, ვერსად გაექცეოდა და საცა გინდა წასულიყო, ყველგან მიაგნებდა და იპოვიდა. ასე იყო აქაც. მივიდა თუ არა რასულა სოფელში, მაშინვე ვიღაცამ მიიტანა ამბავი, რომ იგი ავი თვალის პატრონია და უფრთხილდითო. სოფელიც გატვრინული თვალყურსადევნებდა ყოველ მის ნაბიჯს და შიშით მოელოდა მართალი იქნებოდა მოტანილი ამბავი თუ არა.

ერთხელ რასულა ბეგთან წავიდა ჯამაგირის მისაღებად. ბეგი თურმე აივანზე იჯდა თავისს პატარა ერთად ერთს ვაჟიშვილს ეთამაშებოდა, რომელიც ერთის თვის წინად ძალიან ავადა ჰყავდა და იმისი მორჩენის იმედი არავის ჰქონდა. რასულამ მიიღო თუ არა ჯამაგირი, სოფელში დაბრუნდა, მაშინვე სოფლელებმა ჰკითხეს ბეგის ვაჟიშვილის ამბავი.

— ბეგის ვაჟიშვილი ისე განკურნებულა და გასუქებულა, რომ სულ ჩიტივითა ხტისო, ახარა ყველას რასულამ.

მეორე-მესამე დღეს ამბავი მოვიდა სოფელში, რომ ბეგის ბავშვი აივნიდან გადმოვარდა და ფეხი მოიტეხაო. სოფლელებმა მაშინვე რასულს დადეს ხელი და ერთხმივ გაიძახოდნენ. მაგ წყეულს რასულს უცრია თვალი და იმიტომ გადმოვარდნილა აივნიდან ბეგის ვაჟიშვილიო. ბეგამდისაც მივიდა ეს ამბავი, მაგრამ ის არაფერს ყურადღებას აქცევდა ამგვარს ხმებს.

ასე განვლო ზამთარმა, მაგრამ ცუდს საქმეს უპირებდა რასულას გაზაფხული. ბეგის ვაჟიშვილის ამბავს ეხლა სხვა ამბებიც ემატებოდა. ერთს საღამოს სოფლის თავს საშინელი გრგვინვა გაისმა, შავმა ღრუბლამა სოფლის ჰერი შეხუთვა და სულთამხუთავ ასასივით ვიწრო ხეობას ყელში სწვდა. ჭექა-ქუხილი ერთმანეთში აირია. უცებ ცა გაიხსნა, გაიელვა და ერთს ადგილს თვალის დახამხამებაში მეხი ჩამოვარდა და სწორედ იმ სახლის ეზოში დაეცა კაკლის ხეს, სადაც რასულა პირველად მოსვლის დროს ჩამოხტა. ადამიანთაგან არავინ უმსხვერპლია, მაგრამ საბრალო გლეხს ძროხა მოუკლა და წვრილშვილი კაცი ცარიელზე დასვა. ცოტა ხნის შემდეგ სოფელში კიდევ რამდენიმე გლეხკაცს საქონელი დაეხოცა, ყველა რასულას ბოროტ თვალს მიაწერეს.

სოფელი აიმრიზა, ალმაცერად დაუწყეს ცქერა რასულას. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. გაზაფხული ძალიან ავდრიანი იყო. ერთ ღამეს საშინელი წარღვნისებური თქეში მოვიდა და ქვეყანას წალეკვას უპირებდა. პატარა წყნარი მდინარე ხეობისა უშველებელ, მრისხანე ღვათქაფად გადაიქცა, მიეცა სოფელს, აწიოკა, ააოხარა, ნახევარზე მეტი სოფელი დაანგრია, სახლები, ბაღები წაიღო ულმობელმა ნიაღვარმა და ცარიელზე დასვა სოფლელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეხლა კი მოთბინეპიდან გამოვიდა სოფელი და შესძახა:

— ეს სულ მაგ რასულას ბრალია, მაგან თვალი სცა ჩვენს მარგალიტივით სოფელს, შეშურდა მაგ კუდიანს სოფლის ადგილ-მდებარეობა.

— თუ მაგრე არ არის. — გაიძახოდნენ მეორე: ამდენი ხანია ჩვენი სოფელი აქ არის და არვის ახსოვს, რომ ასეთი უბედურება დატრიალებულიყოს, სულ მაგანა სცა თვალი ჩვენს სოფელს, რაც ეგ აქ მოვიდა, ჩვენს სოფელს ხეირი არა აქვს.

იმათ ხმას აჰყვნენ, რომელთათვისაც სასარგებლო არ იყო რასულას, როგორც ტყის ყარაულის იქ ყოფნა და მეორე დღეს ბეგს მიადგნენ კარზე:

— ეგ კუდიანი რასულა მოგვაშორე თავიდან, შესჩივლეს ბეგს სოფლელებმა: რაც ეგ მოვიდა ჩვენს სოფელს ხეირი აღარ აქვს, საქონელი ამოგვიწყდა, ფრინველი აღარ შეგვრჩა და ლამის სოფელი წყალმა წაიღოს. მაგას ავი თვალი აქვს და სულ მაგის საქმეები, რაც ჩვენ სოფლებში უბედურება ხდება, თქვენს ვაჟიშვილსაც მაგანა სცა თვალი.

მაგრამ ბეგის ბრძანება საჭირო არ იყო. რასულას გაეგო თუ არა სოფელი გაგდებას მიპირებს და ავთვალიანობას მაბრალებსო და წასასვლელად დამზადებული ხალხი დაინახა, შეშინებოდა, სული ყელში მობჯინოდ აღარც აცივა, აღარც აცხელა, აიკიდა თავისი გუდა-ნაბადი და საჩქაროთ გზას გაუდგა.

**ზ ედილი.**

(დასასრული იქნება)

# მკითხველთა წერილები.

რედაქციას ხშირად მოსდის კერძო წერილები, რომლებიც მკაფიოდ ახასიათებენ ჩვენის ცხოვრობის ამა თუ იმ საზოგადო მოვლენას. რადგან ასეთ წერილებს საზოგადო ხასიათი აქვს, რედაქცია დრო-გამოშვებით დაბეჭდავს ხოლმე.

ქვემორე მოყვანილ წერილს უცვლელად ვბეჭდავთ, მცირე გამონაკლისით.

## ვაჟას დაფასება

...ამ დღეებში დავბრუნდი სახლში. წავიკითხე გაზეთში ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების ამბავი. რასაკვირველია, არ მესიამოვნებოდა, პირიქით...

ჩვენ ქართველები თინის ხალხნი ვართ, ან ჩვენ ვხუჭამთ თვალებს, ან სხვები გვგონია თვალ-ხუჭულა: ან ჩვენა ვართ ყრუები, ან სხვა გვგონია ყრუები კაცო, მამ ეს რა არი? ნუ თუ არ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი თავისა? მთელი ოცდა-ხუთი თ, და-ათი წლის განმავლობაში მარტოკა ეხლა აღირსეს თბილი სიტყვა და თბილი ლუკმა თითქოს იგრძნეს (თუ ვიგრძენით), რომ ჩქარა უნდა მომკვდარიყო და მშობლიური მზრუნველობა ათუჩინეს, სავადმყოფოში მოათავსეთ, ექიმებიც მიუჩინეთ და სხვა და სხვა... მერე როგორი მზრუნველობით. ქართველი ქალები, მოწყალების დები უვლიდნენ!!! ნახეთ რა ბიჭები ვართ? კარგი და რომ ეს ომიანობა არა ყოფილიყო და ქართველი ჯარის კაცებისთვის საავადმყოფო არ გაეხსნათ, სად ეღირსებოდა ვაჟას სიკვდილი? სად დავაწვენდით? ვინ მოუვლიდა? ჩოხაში გამოხვეულ, ჩუსტებ-დახეულ კაცს ვინ გაუღებდა კარს. ყველანი არა? ჰო, ყველანი მხოლოდ მშრალი სიტყვით დიახ, მშრალი, გამოფიტული სიტყვით, ისე როგორც ზოგიერთებმა ცხედრის წინაშეც კი წარმოსთქვეს და სხვათა შორის, იმისიც-კი არ შერცხვათ და ქვეყანას ამხილეს, რომ „ამისთანა მაღალ ნიჭიერს კაცს არცერთი შვილი არა ჰყავს შესაფერისათ გამოზრდილიო“.. ვაი, სიბეცევ!... განა ამაზე მეტი კიდენ იქნება!... ვინც-ამ სიტყვებს ამზადებდა, რატომ არა ფიქრობდა, რომ პირველი იმას მიუძღვის დანაშაული, ვინც ვაჟას შინაური ცხოვრება იცოდა. იცოდა ისიც, რომ არა ჰქონდა საშუალება ჩვენს მთის არწივს (როგორც უწოდებენ) თავისი ბარტყებისთვის მოეარა, დაებუმბლა და ლამაზი ბასრ ნისკარტ კლანჭებით გაეშო თავის სამეფოში. ეს ხომ ყველამ იცოდა და ჩვენც ვიცოდით... რატომ ის სიტყვები, რომელიც გაციებილი გვამის წინ მარგალიტიეთ ცვიოდა და ივანტებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, 10-15 წლის წინად გაზეთის ფურცლებზე არ იწერებოდა? რატომ, მანამ დრო იყო, საზოგადოებას არ ამცნეს ჩვენი დიდი ბუმბერაზი კაცის უდონობა. განა არ შეეძლოთ, დახმარება აღმოეჩინათ! განა ქართველი საზოგადოება ვერ შესძლებდა ღირსეული კაცის შვილები, ღირსეულად აღეზარდნა? დიახაც, შეეძლო, მაგრამ... „მაგარია ის არის, რომ ზოგს ვაჟას ჩოხა არ მოსწონდა, ზოგს სახლი, ზოგს იმისი საცხოვრებელი სოფელი, ზოგს იმის ნაწერები, ზოგს რა, ზოგს რა და ამიტომ უყურადღებოთ იყო მიტოვებული. და ეხლა თუ თბილ-თბილი სიტყვები გადირსეთ და დიდათ აგვამაღლეთ, იმიტომ რომ სხვა ერთვნებაში ჩვენი ორატორობა არ ჩაიწერდილოს და იცოდეს ისტორიამ: მოკვდა კაცი შიმშილ-გაჭირვებაში და უკანასკნელ დღეს საფლავის კარამდის აცილებენ და მატივს სცემენ, რომ გაიგოს ხალხმა ამა და ამ კაცმა ასეთი ლამაზი სიტყვა წარმოსთქვაო...

ვაშა!..

განა ჩვენ ნაკლები სიტყვები ვიცით მშვენიერ გაშლილ სუფრაზე თუ მახვინძელი კარგი და გუდუხვი გვყავს? (თუ კაი ქალიშვილებიც არიან, აბა ნახე როგორი მეცნიერული კორიანტელი დადგება)... სწორედ ლოთი კაცის გაშლილი სუფრა მაგონდება...

მაგრამ მცირე წლოვან შვილის გაზრდას ეხლა ხომ დაჭმირდნენ?... ვნახოთ რა გამოვა: სჯობიან გვიან, ვიდრე არასოდესო, თუ ვაჟას უკანასკნელი ნატვრა მაინც აღუსრულდეს..

...იოსებ, ნუ გამიწყრები, თუ ჩემი გულის ნადები გაგიზიარე; რა ვქნა, რამდენიც ცრემლი ჩამომდიოდა დასაფლავების დროს ნათქომ სიტყვებზე, იმდენი მეტად მტანჯამდა ის, რომ ცივი ხალხი ვართ და თბილი სიტყვები კი ვიცით...

**ვანო მესხიშვილი**

## ვინ ვის ეომება?

(საუბარი სოფლად ომის შესახებ)

— ახლა შენ ეს მითხარი, ჩემო გლახუ: რუმინია რომ ოსმალეთს ჩაუდგეს „კლიტიკაში“ და ზარბაზნები მოაოლოს, ამერიკა რაღას იზამს მაშინ?

— ამერიკა?.. ამერიკამ, შე კაცო, გგონია დაალოს პირი და მიაშტერდეს მათ თუ?.. წამოუსვამს ხელს თავის ჯარს და ეცემა „პარიჟიასა“. მას რომ აჯობებს — მივარდება პრუსიაა თუ პრასია — იმას და სულ თლათ მიწასთან გაასლეკს.

— იმე, იმე, შე კაცო, მერე ინგლია არ მიეშველება პრუსიას თუ?

— რა მისი ჯავრი აქ! იმას თურმე მისდგომია დარდანელის სახელმწიფო და საცაა თლათ ეილებს...

— ყველა კაი, მარა ეს კიტაია და იაპონია ვითომ რეიზა შეჩერდენ და აღარ ომობენ:

— შე კაცო! ყველამ რომ იომოს, მაყურებლად ვილა დარჩება?

— მაშ, რავარც ეტყობა, ძაან მოჭირებულშია ომის საქმე?

— ძაან, ძაან, ჩემო როსტომ!

**გუგული**

## წერილი ფშავეთიდან „ჩვენს ვაჟას“.

შენც განიხვენე, უკვდავო ვაჟო! განშორდი წუთის სოფელსა!... შენ გარდიცვალე, მაგრამ კი... არ მოკვდი. და არც მოკვდები, იცოცხლებ შენ ჩვენს გულში მარადის.

აბა როგორ გაიმეტებენ სასიკვდილოდ თავის მშობელს ლუხუმი, კვირიაი, ლელთა და ზეზვაი. რა რიგ მზრუნველობით შემოგევლება თავსა და შეგიხვევს წყლულს ლელაი. ცრემლით დაგიბანს ჭრილობასა. მაგრამ არც კი იტირებს გმირი ქალი, შენსავით ანდამატის გულით.

როგორ გაგიმეტა ნეტა შავმა სიკვდილმა სასიკვდილოდ, მთის ტურფა ყოილო?

კვლავ შავიკრიფენით ლაშარის გორზე, ვაჟავ! შენ გელოდებოდით... მთელი ღამე გელოდეთ, არსად იყავ შენ კი. ლაშარის გორს მიეკრა მკრთალი ვარსკვლავები ცეცხლებისა. ცეცხლები რაღასაც ჰგრძნობდნენ და ოდნავ ბჟუტავდნენ. გათენდა, დილა. ვინ რა იცოდა რა მოგველოდა. ბერი ლუხუმი მიუახლოვდა სასანთლეს, თანაც თვალ-ცრემლიანი გზისკენ გაიყურებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცუდ ლიშანმა რაღაცა უთხრა შენ ლოდინში. ეშინიანთ უბედურება ხომ არა დაატყდაო.

აგერ ობოლი კვირიაი და ლელაიც გამოჩნდნენ გაბრაზებულის სახით. ხატს მადლი მოუთხოვეს... „წყალობაო ხატისა!“ შემოუძახეს ხალხსა.

ხალხი მდუმარეა. სიჩუმეა... არაგვის მწუხრი სევდიანი ჩქეფა მოისმის.

აგერაი, სანათაიც გამოჩნდა. შავებ გაუხდავ, ქრელები ჩაუცომ. სანათას მოჰყვებიან სხვა დედებიც. სანათა წინ მოუძღვება, მაგრამ ნიშამდე აღარ მიუშვეს. ეხლა ლუხუმი დაადიდებს ჯვარსა. შენლა გელიან, ძვირფასო მშობელო, შენგან შობილნი.

ის კი აღარ იციან—შენ თავს რა ამბავია, რა დაგატყდა!

უცებ დაჯავრიანებულად გაისისინა სიომა. არაგვი უფრო მწუხრად, სევდიანად და ხმა მაღლა აჩქეფრდა. ხალი კლდეები უფრო დაიღრიჯნენ. მთის მწვერვალოებს ნისლი მოეხვია თეთრ ჩადრივით, თითქო ჩადრში გახვეულები სტირიანო, ცაც მოიღრუბლა და დაიწყო კოკის პირული ცრემლების ფრქვევა.

ეს და აკლდა ლუხუმის გრძნობასა. მან ყველაფერი გაიგო და ატირდა... ატირდა ისე, რომ არ აიწერება. სხვებსაც, როგორც იყო, გააგებინა.

„ვაჟკაცო, შენი სიკვდილი, ვაჰმე რა დიდი ბრალია!“ —აღმოხდა დედათ გულიდამ მწარე ამონაკვნესი. სუ ყველანი სტირიან გულ-ამომჯდრები. სტირიან...

ტირილი ხომ დიაცთ საქმეა, მაგრამ ეს აღარ ახსოვს ფშავლის შვილებსა. შენ ახ ოვხარ მარტო, ძვირფასო, უკვდავო ჩვენო საკუთარო ვაჟავ! ნამდვილო ვაჟო!..

ლაშარელაიც კი გამოეცხ და, მაგრამ თეთრ ცხენზე აღარ იჯდა, აღარ პირმცინარეიყო. ისიც დაღონებულიყო.

შენ დაკარგვით პირველად ის არ მოხვდა ბუნებასა. პირველად იმან გაიგო უბედურება. ბუნებას დაეკარგა თავისი ენა. შენ ხომ ბუნების ენა იყავ. ბუნების მესაიდუმლე. შენ ბუნებას ამცნობდი თავის ჭირ-ბოროტსა, ბუნება კიდევ შენა. იმედიანათ შეჰყურებდით ერთმანეთსა. ბუნების სევდისაგან გავიგეთ ჩვენაც ეს თავზარ-დამცემის ამბავი. სიომ შეგვატყობინა, ნიავმა, თორო ხომ იცი ბაის ამბავი მთაში ძნელად ადის, ძნელად აქვს კაცსა.

ოჰ, რა განრისხებული, რა გაბრაზებული გაჰკივის ეს არწივი, ამასაც რაღაცა მის წვდა ყურში, ლაშარის გორის მაღლა, ძირს კი ფლოვის ზარი მოისმის. იგი, არწივი, თანაუგრძნობს ჩვენს სევდას. გაიგო მოძმის სიკვდილი... ღონემ უღალატა. უნდა, რომ მთის წვერზე დაეცეს და იქ დალიოს სული, მაგრამ ამაოდ. დაბლა სადღაც ქალაში დაეშვა, სევდიანის თვალით შეჰხედა ჯერ სპეტაკთეთრსა და ახავერდებულ მწვერვალოებს, მოიგონა თავის წარსული და ისევ დალია სული.

შენც ხომ ასე მოგივიდა ჩვენო ვაჟავ! ჩვენო არწივო! საკუთარო ჩვენო!!.

შენც უნდა დარჩე მანდა ბარში? უნდა იყო სულისა და გულის შემხუთავ ჰურში? შენ ხომ მთის შვილი ხარ; მთა გიყვარდა! მაშ რა გინდა მანდ!

მაღლა, მაღლა მთის წვერზე, თორო.. მძლავრმა გრიგალმა უნდა გიმღეროს შენ ნანა... უნდა გესმოდეს არწივის ხმა. შენ ხომ მთის არწივი ხარ. შენ საფლავის გორაკზე უნდა ჩამოჯდეს არწივი, იქ დაისვენოს და გიამბოს მსოფლიოს ამბავი, ქვეყნიერობისა. ქუჩი უნდა იდგეს შენს ახლო, რომ მალ მალე ებაასო. დეკა და ღვიანი.. იქაც ხომ გიყვარდა. ყველაფერს გიშოვეთ მთის შვილო!..

აქ!.. აქ!!.. მთაში!!.

მაგრამ ვაი, რომ ესაც არ იქმნა.

ნაქერალაში შეგროვილ თუშებსაც გაუგიათ და გტირიან. ხახმატშიაც გადასულა ხმა. ხევსურნი მწარე ნაღველს მისცემიან. გტირიან მთიელნი, მთის შვილო!

გტირით ფშავლის შვილები, ჩვენო ფშაველო ვაჟო!..

ფშაველი **გოგოლა გაბიდოური**

# ქართული სახიობა

**სოფ. ბუკვისციხეში** (გურია) ის შაბათს 8 აგვისტოს ადგილობრივ სამრევლო სკოლის შენობაში, სილ. თოდრიას რეჟისორობით, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „დარისპანის გასაჭირი“ დ. კლდიაშვილისა და „ბუტიაობა“ აკაკისა. ორივე პიესამ კარგად ჩაიარა. „დარისპანის გასაჭირში“ მეტად კარგად შეასრულა მიხ. შარაშიძემ დარისპანის როლი. შეუდარებელი იყო „კაროჟნას“ როლში ქსენია ჟოჟიკაშვილი, რომელიც პირველად გამოვიდა სცენაზე და დიდის ხელოვნებითაც შეასრულა ეს რთული როლი, კარგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი იყვნენ: თამარ ჟღენტი (მართა), თამარ ყოყიკავილი (პელაგია) და ი. სიხარულიძე (ოსიკო). „ბუტიშაობაში“ აღსანიშნავია მხოლოდ ვანო ყოყიკაშვილი (არისტო იმერელი) და მისი და თამარ (ბაბალე—გოგო), რომელთაც თვისი მოხდენილი თამაშით საზოგადოება ბევრი აცინეს. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი: გ. ქუჩიშვილმა, ი. სიხარულიძემ და „ღრუბელმა“ წაიკითხეს თავ-თავიანთი ლექსები, რითაც საზოგადოება დიდათ ასიამოვნეს. ბევრი აცინა საზოგადოება გრიშა შარაშიძემ („ყალთამანმა“) მოხდენილი გურული სცენების კითხვით წარმოდგენის წინ ვანო ყოყიკაშვილმა ვაჟა ფშაველაზე სიტყვა წარმოსთქვა და საზოგადოებამ მგოსნის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო, მიუხედავათ ავდრისა. შემოსავლის წმინდა მოსაგები გარდა ნაწილისა, რომელიც დაჭრილთა სასარგებლოდ მთავრობამ წაიღო, გადიდო ადგილობრივ უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ.

ამავე სცენის მოყვარეებმა ხსენებული პიესები დადგეს ერკეთში, ერკეთის სამკითხველოს გამგეობის დავალებით. იქაც გარდა იმ ნაწილისა, რომელიც დაჭრილთა სასარგებლოდ გაიდო, შემოსავალის წმინდა მოსაგები მოხმარდა ერკეთის ადგილ სამკითხველოს. დიდი მადლობის ღირსია ვანო ყოყიკაშვილი და დები მისი თამარი და ქსენია, რომელნიც ყოველ წლობით ენერგიულ დახმარებას უწევენ ყოველ მხრივად სოფ. ბუკისციხეში წარმოდგენების მართვას.

**დამსწრე**

**სოფ ახალ-გორში** 12 აგვ კნ. ანასტასია ერისთავის თაოსნობით, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წყლისგან დაზარალებულ იმერეთისა და აჭარელების სასარგებლოდ წარმოადგინეს „კეთილი და უმანკო ანგელოზი“ 3 მოქ. დ. ერისთავისა და „უჩინმაჩინის ქუდი“ 1 მოქ. გ. ერისთავისა...

თუმცა დეკორაციების უქონლობა და სხვა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზი ხელს უშლიდა ახალგაზრდა მომუშავებს, მაგრამ ყველა ეს მიზეზი საერთო ძალით გადალახეს და წარმოდგენა კარგად ჩაატარეს... მოთამაშეთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს ქ-ნმა ნ. ერისთავის ასულმა,—მოხდენილი, ცოცხალი თამაშით სრულად დაგვიხატა პეპელასავით ცქრიალა სონა და ვარდო; ქ-მ. ელ. პავლიაშვილის ასულმა—ნატალიას და სუსანას როლი მშვენიერის განსახიერებით, და თამარ ერისთავის ასულმა (ლიზა), ბ.მ. ოსიტაშვილმა (გრიგოლ და მარტირუზა) ხალხი ძლიერ აცინა, მხოლოდ სიარული მეტად მოუხეშავი ჰქონდა 100 წლის ბებერსავით თავ-ჩაღუნული დადიოდა და სუფლიორს ჩასცქეროდა (როლი კი ზეპირად იცოდა). დ. არავიაშვილმა ანტონი და კიკოლიკა უნაკლოდ დაახასიათა, გ. ცაგარელმა—კოტე და ქ. ალექსიშვილმა—ივანე.

წარმოდგენის შემდეგ ს. ალექსიშვილმა ზეპირად წაიკითხა „სადღეგრძელო“ და აკაკის ლექსები. ხალხი ბლომად დაესწრო, როგორც ახალგორიდან, აგრეთვე ახლო სოფლებიდანაც. შემოსავალიც რიგიანი იყო, და დანიშნულებისამებრ გაიგზავნა...

**კანრაე**

# წვრილი ამბები

**ᐩ იტალიის გამოჩენილ დრამატურგს** გაბრიელ დ, ანუნციოს სთხოვა ჩვენმა თანამემამულემ, ცნობილმა მოცეკვავემ ელი ჩეროვმა (ელ. ჩერქეზიშვილმა) ნება მომეცით თქვენი ახალი პიესა ქრთულად ვათარგმნინო წარმოსადგენადო. გ. დ, ანუნციოს ნება მიუცია და ქართელი გამოცემისათვის წინასიტყვაობაც დაუწერნია, თუმცა ამ პიესის გადათარგმნის ნებას არავის აძლევდა. პიესა ერთ მოქმედებიანია, ცეკვა სიმღერებით.

**ᐩ მეფის მოადგილის სამმართველოამ** ნება დართო ს. ერთაწმინდელის ერთმოქმედებიან დრ. ესკიზის „ლურჯი ხალათის“ წარმოდგენისა.

**ᐩ ლიტერატორთა წრის** დაარსება განუზრახავთ ქუთაისში. თაოსნობს გ. ტაბიძე წესდებას ამ მოკლე ხანში წარადგენენ დასამტკიცებლად

**ᐩ დღეს იწყება** სახალხო თეატრის სეზონი კ. შათირიშვილის რეჟისორობით და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა“.

**ᐩ სართიჭალაში** 22 აგვ. ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა ი. თარალაშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს „ქოხში“ და „ადვაკატი მელაძე“.

**ᐩ საზურთალოს თეატრში** ხვალ, 6 ენკენ. საზოგადო კრებაა ახალი არჩევნების მოსახდენად.

**ᐩ მსახიობმა ი. ზარდალიშვილმა** ზემო ქართლში დაასრულა თავისი წარმოდგენები გამართა ხაშურში—14 წარ., სურამში—6, გომში—3 და ბორჯომში—4.

**ᐩ დ. ყვირილაში** ქართ. მსახიობთა ამხანაგობა განაგრძობს სეზონს

**ᐩ ქართ. ფილ. საზ. დარბაზში** კვირას 1 საათზე პარაკლისია.

**მწგნობრობა**

**ცალკე წიგნად გამოვიდა „ვეფხის ტყაოსანი“**, პეტრე მირიანაშვილის მიერ ხუთ სურათად გადმოკეთებული. ეს პიესა ოპერადაც იწერება. შოთას უკვდავი თხზულება ბ. პ. მირიანაშვილს ისე მოხდენით გადმოუკეთებია, რომ განსაკუთრებით შესაფერი იქნება ქართველ მაჰმადიანთა შორის დასადგმელად. წიგნი შეიცავს 62 გვ. და ღირს 30 კ.

**ჯორ-ზაქარა,** მოთხრობა სოფ მგალობლიშვილის, გამოცემა იასონ კერესელიძისა, ბატონ-ყმობის გადავარდნის ხანას შეეხება, დაწერილია საუცხოვო ქართული მხატვრული ენით. მხცოვანი მჭერალი ფერადი სურათებით წარმოგვიდგენს ბატონ-ყმობის დროის ყოფა-ცხოვრებას, ბატონთა და ყმათა ურთიერთობას. განსაკუთრებით მოზარდ თაობას ასიამოვნებს და არგებს ამ მოთხრობის გულ-დასმით წაკითხვა. დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე, შეიცავს 168 გვ და ღირს 40 კაპ.

—

## წერილი რედაქციის მიმართ

**დ ბოლდადის სამკითხველოს გამგეობა** გულითად მადლობას უცხადებს ბ-ნ გიორგი სიმ. დემეტრიძეს, რომელმაც ბოლდად ს სამკითხველოს თავის ხარჯით, ერთი წლით ჟ. „თეატრი და ცხოვრება“ გამოუწერა

გამგეობის მონდობილობით **ნინო კვირიკაძე.**

Дозволено Военной Цензурой

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სორაპანის“ გამოცემა ქართული და ევროპიული საჭმელების წიგნი

## გამოვიდა და ისყიდება
# სამზარეულო

ფასი 1 მ. 40 კ. მისამართი: Тифлисъ Типогр „Сорапань“ Мих Спир Гачечиладзе

## ნომრები „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით** ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 6.

ტელეფ. 13—14 (ნ)




# ა ფ თ ი ა ქ ი
## პროვიზორის ა. ს. ახვლედიანისა
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

## ტფ. ქართულ ფილარმონიული საზოგად.
**სამუსიკო სკოლა**

**გადავიდა ახალ ბინაზე: სლეპცოვის ქ. ზელნიცკის სახლი, № 4.**

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან**

10—2 ს.-მდე დღისით და 5—7 ს.-მდე საღამოთი სკოლის კანტორაში. **მასწავლებელთა სია:** ფორტეპიანოს კლასი: **მ. გ. ანდრონიკოვა—ციციანოვა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, ე. გ. ძიძოძე, ე. ი. მადატოვა-პოლტარაცკისა, ე. ვ. ფოგელისა. თ. ხ. შაბუროვა;** სკრიპკა: **მ. ტ. ვასილევი, პ. ა. ტიზენგაუზი;** ვიოლონჩელი: **გ. დ. დილმელოვი;** კონტრაბასი; **მ. ი. შერშოვი;** სიმღერა (სოლო): **მ. ა. კოლოტოვისა;** თეორიის კლასები: **ზ. პ ფალიაშვილი;** ხორო: **ზ. ი. ჩხიკვაძე;** ახლად მოწვეულია ფორტეპიანოზე მასწავლებელი, მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული პროფეს. გოლდენვეიზერის კლასის თავისუფალი ხელოვანი **ე. დ. აბელაშვილისა.** მომავალი სამოსწავლო წლიდან სკოლაში დაარსდება სპეციალური კურსი იმ პირთათვის, რომელთაც სურთ შეისწავლონ თავისებურება ქართული მუსიკისა-

სწავლის ფასი: ფორტეპ. 70 მანეთი წელიწადში, სკრიპკა—75 მ., ვიოლონჩელი—65 მ., კონტრაბასი—50მ სიმღერა 100 მ., თეორიის კლასები—15 მ. სწავლის ფასი გადახდება ნახევარი წლობით წინდაწინ.

**პარაკლისი** გადახდილ იქნება 6 სექტემბერს, შუადღის 1 საათზე.

**სწავლა დაიწყო 1 სექტემბერს.** 1297

**ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ვამოცემა**

# „ეშმაკის მათრახი“

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი** და **თაგუნა,** ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

**თანამშრომლები:** ალბურითნი, ბლიკვაძე, ეშვი, ეშმაკი, თაგუნა, კენტი, **კვინწარი,** კოდო, მორიელი, ნაფუძგოდონოსორი, ონისიმე, პიტნა, ფუნ-ტეფო, შ. ქიქოძე, შმერლინგი, ჭიაურელი, ხუმარა და სხვ.

ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები. შარადები, გამოცანები. ნაკვესები და სხ. ჟურ. დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ С.П Таварткиладзе Ольгнская 6, почт. ящ. № 96 (ეშმაკის მათრახისთვის)

## ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორე შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდე-ბული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა-გან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზაა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, ოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნებ-ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუ-კეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკუ-ლი. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის ამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. „**Театри да Цховреба Іос. Имедашвили**.

---




## მიიღება 1915 წ. ნახევარი წლის ხელმოწერა

ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერა-ტურო, სახელოვნო და საზოგადოებ-რივ ჟურნალ

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

ყოველგვარ ჯგუფ-დასურ მიმართულების გარეშე.

ყოველ **ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო** პიესა.

ფ ა ს ი: წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი **10** კაპ.

ხელმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს. **მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი: ორიგებით,**

ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე.

Тифлисъ, Ред. „**Театри да Цховреба**“ **Іосифу Имедашвили**

**რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა**

---


Типографія „**Сорапань**“ სტამბა „სორაპანი“